საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონკურსო
კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. თბილისი 19 05 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე **ვ. ხატიაშვილი,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე **გ. სებისკვერაძე,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსი **ს. ჯანელიძე,** შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **თ. კრიჭინაშვილი,** სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე **ა. გლავაცკი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მიერ **ქ.ზუგდიდში, გორის ქ.№3–ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს არსებული შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ტერიტორიაზე ახალი (ასაშენებელი) შენობის სრული პროექტის** კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის ანტონ გლავაცკის ინფორმაცია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში შემოვიდა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს სამშენებლო სამმართველოდან მოთხოვნა პატაკი №901834 საიდანაც ირკვევა, რომ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე შესყიდული უნდა იქნას ქ.ზუგდიდში, გორის ქ.№3–ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს არსებული შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ტერიტორიაზე ახალი (ასაშენებელი) შენობის სრული პროექტი. აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა საკონკურსო დოკუმენტაცია და წარმოდგენილი იქნა საკონკურსო კომისიის სხდომაზე დასამტკიცებლად.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მისაღებია და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის 1) პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების მე-4 მუხლის 1) პუნქტის შესაბამისად შესაძლებელია ქ.ზუგდიდში, გორის ქ.№3–ში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს არსებული შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების და ტერიტორიაზე ახალი (ასაშენებელი) შენობის სრული პროექტის შესყიდვა მოხდეს კონკურსის საშუალებით.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნას საკონკურსო დოკუმენტაცია.
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის 2) პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის №3 ბრძანების მე-5 მუხლის 1) პუნქტის შესაბამისად დოკუმენტაციის შესყიდვების სააგენტოსთვის გადაგზავნა ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

ვ. ხატიაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები:

გ. სებისკვერაძე ს. ჯანელიძე თ. კრიჭინაშვილი ა. გლავაცკი

ოქმი მომზადებულია:
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს
დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის
განყოფილების წამყვანი სპეციალისტი
გიორგი კვირიკაშვილი